

სამთო მოპოვების შედეგად დეგრადირებული ნიადაგების რემედიაცია

მ. აველიაშვილი

ელ-ფოსტა: marika.avkopashvili.1@iliauni.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს 5000 წლოვანი ოქროს მოპოვების ისტორია აქვს, რითიც მან კაცობრიობის ისტორიაში უძველესი ოქროს მომპოვებელი ქვეყნის სახელი დაიმკვიდრა, თუმცა საკითხავია, რამდენად დიდი ისტორია გაგვაჩნია ჩვენ, მინერალური წიაღისეული რესურსების მომპოვებელი კარიერების რემედიაციის თვალსაზრისით.

საქართველოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ღია კარიერული წესით მოქმედი „არემჯი გოლდისა და კოპერის“ (RMG Gold and Copper) საბადო, რომელიც ტოქსიკური ლითონებით გარემოს ინტენსიურ დაბინძურებას იწვევს. ამჟამად „არემჯის“ ლიცენზირებულ ტერიტორიაზე 4 ღია ტიპის მოქმედი კარიერია, რომელთა საერთო ფართობი 1200 ჰა შეადგენს. კომპანია მომავალში კიდევ 5 ღია კარიერის გახსნას გეგმავს. უნდა აღინიშნოს რომ არც ერთი კარიერის სიცოცხლისუნარიანობა მუდმივი არ არის და არსებული მარაგი დროთა განმავლობაში იწურება. კომპანია „არემჯი“ ფუნქციონირებს 1975 წლიდან (ე.წ. მადნეული), რაც თამამად იძლევა იმისი თქმის საფუძველს რომ უკვე დროა დაიწყოს რეკულტივაციურ/რემედიაციული პროექტების განხორციელება. რეკულტივაცია გულისხმობს კარიერული პროცესების შედეგად სახეცვლილი ტერიტორიების, დეგრადირებული ნიადაგებისა და დაბინძურებული წყლის ისეთ კონდიციამდე მიყვანას, რომ ის გამოყენებადი გახდეს საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის, რათა არ მოხდეს ცხოველებისა და ადამიანების ინტოქსიკაცია. წინამდებარე თემა ეხება „არემჯი გოლდისა და კოპერის“ ღია კარიერული საბადოსთვის რეკულტივაციის მეთოდის დაგეგმვას და მცირე ექსპერიმენტის სახით რეკულტივაციის სხვადასხვა მეთოდების ეფექტურობის შემოწმებას.

აღნიშნული რეკულტივაციის მეთოდი გულისხმობს ფუჭი ქანების, ე.წ. სანაყაროების უსიცოცხლო ნიადაგში სიცოცხლისუნარიანობის გაზრდას და ისეთ მდგომარეობამდე მიყვანას რომ იგი უსაფრთხო გახდეს გარემოსთვის, ასევე ისეთი მცენარეების შერჩევას, რომლებსაც გააჩნიათ ფიტორემედიაციული თვისებები და ხარობენ მკაცრ პირობებში. აღნიშნული მეთოდის პრაქტიკაში დანერგვამდე აუცილებელია მოეწყოს საპილოტე ექსპერიმენტი, რათა დავადგინოთ ამ მეთოდის ქმედითუნარიანობა.